88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი● გამოდის 1933 წლიდან ● №13 (7042) 1 ივლისი 2021 წელი ● www. Terjola. gov. ge

კორონავირუსული ამინისტია და შემსუბუქებული პანდემიური შეზღუდვები

ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, პარლამენტს წარედგინა ორი კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ამინისტია შეეხება და ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლდება 245 ათასზე მეტი ჩვენი თანამოქალაქე და 344 იურიდიული პირი.

საუბარია პანდემიის პერიოდში იზოლაციის, კარანტინის და პირბადის ტარების წესის დარღვევის გამო დაკისრებულ დაახლოებით 76 მილიონი ლარის გადაუხდელ ჯარიმებზე.

„პანდემიის პერიოდში არაერთი ჩვენი მოქალაქე და ბიზნესი დაზარალდა და აღნიშნული სახდელები მათთვის დამატებითი ტვირთია. რა თქმა უნდა, ვირუსის მართვის დროს აუცილებელია რეგულაციების დაცვა, თუმცა მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეების ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება და ეს ინიციატივა სწორედ ამით არის განპირობებული“—განაცხადა პრემიერმა ამ ინიციატივის განმარტებისას.

ჩვენი სოფელი...

ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არჩევნებიდან სულ რამდენიმე თვეში 4 წელი შესრულდება და მორიგი არჩევნებიც მალე გაიმართება.

რით გამოირჩევა ეს ოთხი წელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის, მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის, რა შეძლო ადგილობრივმა მმართველობამ, როგორი იყო თანადგომა ცენტრალური ხელისუფლებიდან, როგორ მიდიოდა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესი, სრულდებოდა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები, წყდებოდა საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

სწორედ ამ თემებზე, სათაურშივე გაჟღერებული რუბრიკით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში, ჩვენი ჟურნალისტები, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატები მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ამავე ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები თქვენ მოგითხრობენ ამ ოთხწლიან პერიოდში გაწეულ მუშაობაზე—თუ რა გაკეთდა, რა ვერ მოვახერხეთ.

ველით თქვენს გამოხმაურებებს, წერილებს, საქმიან წინადადებებს...

„თერჯოლა“

ქარი...
(დღის ფრაგმენტი)

ქარის მეტი რა ვიცით. ხშირად გვსტუმრობს. მოვა, აგვრევს, დაგვრევს, წლის ნაშრომ-ნაამაგარს იავარქმნის და ახალ საშრომ-საზრუნავს გვიჩენს.

ასე იყო ოდითგან, ასე არის ახლაც. მისი მეცნიერული განმარტება არც ისე რომანტიკულია, პოეტები რომ გვიხატავენ.

„ქარნი ხორშაკნი და ცეცხლებრ შემწუელი მხურვალეაი მზისაი“ აწუხებდა ჩვენს წინაპრებს. გვაწუხებს ჩვენც. რას ვიზამთ. ბუნება მბრძანებლობს. თუ ბიჭი ხარ, დაუდექი! 18 ივნისს, დღით პარასკევს, მშვენიერი, წყნარი დილა გათენდა. სოფელს მეტი რა უნდოდა. ვინ სიმინდის მარგვლა დაიწყო, ვინ ვაზის ფოთლის შეწამვლას შეუდგა და ვინ ბოსტან-ბაღჩეულისაკენ დაიძრა...

სამწუხაროდ სოფლის იდილია მალევე დასრულდა.

რაც ანაზდად ამოვარდნილმა ქარმა დღე დაგვაწია დიდხანს გვეხსომება.

ეს ქარიც აღარ იყო. სულ მოკლე დროში თავის მსახვრალი ხელი დაატყო ნათესსაც, ნარგავსაც, ბოსტან-ბაღჩეულსაც...

ახლა რა ვიღონოთ?

მეტი რუდუნებით, მეტი შემართებით, თუ გნებავთ—სიჯიუტით ჩავჭიდოთ ხელი ჩვენს ერქვანს...

არ დავუშვათ, ქარის ცელქობას გამარჯვებული ერქვას...

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან ☞2

დიდი ფეხბურთი ერთი წლის დაგვიანებით ☞7,8

მიმდინარე წელს სამარადისო საცხოვრისში განსაკუთრებული გულისტკივილით გავაცილეთ ჩვენი ქვეყნის არაერთი გამორჩეული შვილი. სამწუხაროდ, მათ რიცხვს გასულ თვეში კიდევ ორი ღირსეული ადამიანი შეემატა...

რეზო გაბრიაძე

ამ სახელითა და გვარით მსოფლიომ გაიცნო თეატრისა და კინოს რეჟისორი, მწერალი, სცენარისტი, მხატვარი და მოქანდაკე რეზო გაბრიაძე.

რეზო გაბრიაძის ელვარე ნიჭი მრავალფეროვანი და ამოუწურავი იყო. ლეგენდარული ფილმების: „შერეკილები“, „ქინ-ძა-ძა“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“ და სხვათა ავტორის შთაგონების წყარო ყოველთვის იყო მშობლიური ქუთაისი, რომელიც დიდი ოსტატობით გააცნო მთელს მსოფლიოს.

ასევე განსაკუთრებით აღსანიშნავია, მის მიერვე შექმნილი უნიკალური მარიონეტების თეატრი, რომელიც ჩვენი ქვეყნის საგანძურია უკვე...

რეზო გაბრიაძე 85 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დიდი ხელოვანი, მთაწმინდის პანთეონში დაიკრძალა...

გივი თოდაძე



95 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული არქიტექტურის რაინდი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის ორგზის კავალერი გივი თოდაძე.

უხუცესი არქიტექტორი ბოლომდე დაიხარჯა პროფესიის სამსახურში. ბატონი გივის მიერ სიყვარულით, გემოვნებით და ოსტატობით შექმნილი არქიტექტურული ნაგებობები, ნახატები, მეგობრული შარჟები ისტორიად მის სიცოცხლეშივე იქცა. გივი თოდაძემ დიდი წვლილი შეიტანა ქალაქ თერჯოლის განაშენიანებისა და კეთილმოწყობის საქმეში, რაც დაუფასდა კიდეც. მას მინიჭებული ჰქონდა თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა.

თერჯოლის საზოგადოებრიობა თანაუგრძნობს ამ გამორჩეული და ღვაწლმოსილი პროფესიონალის გარდაცვალების გამო მის ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებს.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

თეატრალური ფესტივალი „იმერეთი-2021“

თერჯოლის სახალხო თეატრის მორიგი წარმატება

კორონავირუსული პანდემიით გამოწვეული ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ გაიმართა ტრადიციული თეატრალური ფესტივალი „იმერეთი—2021“. 25 ივნისს, ფესტივალის ჟიურის და მაყურებელს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში თერჯოლის სახალხო თეატრმა სლავომირ მროჟეკის პიესაზე, რეჟისორ მამუკა ცერცვაძისა და დასის მიერ მომზადებული ახალი სპექტაკლი „ემიგრანტები“ წარუდგინა, რომელსაც სულ ცოტა ხნით ადრე, პრემიერაზე თერჯოლელმა მაყურებლებმა, თერჯოლის თვითმმართველობის ხელმძღვანელობასთან ერთად უსურვა საფესტივალო წარმატება. დაწვრილებით ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში.

გზა გაკეთდა და რა კარგად...

ბოლო წლებია თერჯოლის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი სამუშაოები ტარდება გზების რეაბილიტაციისათვის. დამნახავი ამას კარგად ხედავს და კმაყოფილია. ამჯერად ერთი კონკრეტული მონაკვეთის კეთილმოწყობაზე მოგითხრობთ. ესაა ე.წ. გოგიაშვილების გადასახვევიდან სოფ. ქვ. ალისუბნის ცენტრამდე. ერთ რიგით ადამიანს, ვისაც შეუძლია გაკეთებული საქმე დაინახოს, მადლიერებით განეწყოს მისი შემოქმედისადმი მეც ვარ, თუნდაც იმ არსებითი მიზეზის გამო, რომ ამ გზით გადაადგილება მიწევს სოფელში წასვლისას. ჯერ ერთი—თანამედროვე გზატკეცილზე კომფორტულად მგზავრობ და მეორეც ადრინდელი სახიფათო მისახვევ-მოსახვევის გასწორებით გამოირიცხება ავარიული შემთხვევები.

შარშან იყო აქ, აღნიშნულ გადასახვევში, რომ დაიდგა ბანერი წარწერით: „ბოდიშს გიხდით შეფერხებისათვის. საქართველოს საგზაო დეპარტამენტი“. დღეისათვის საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოები თითქმის დასრულებულია თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოფ. ქვედა ალისუბნის ცენტრში გამავალი გზის დასკვნით ეტაპს.

სტატისტიკა მოსაწყენია, მაგრამ აუცილებელი, თუმცა ამჯერად მკითხველის ყურადღებას არ გადავღლით ციფრებით. მითუმეტეს, რომ თერჯოლა-თუზის შემაერთებელი გზის მშენებლობა-შეკეთების შესახებ არა ერთ გზის დაგვიწერია გაზეთში. მთავარია, რომ საქმე გაკეთდა. ყველა მძღოლის თუ ამ გზაზე ფეხით მოსიარულის კმაყოფილება გზის კეთილმოწყობის გამო არაერთმა ადამიანმა გაგვიზიარა: კვირაში რამოდენიმეჯერ მიწევს ხოლმე დედაქალაქ თბილისში და პირიქით თბილისიდან სოფელ საზანოში მგზავრების გადაყვან-გადმოყვანა, სამარშრუტო ავტობუსით, გვეუბნება გამოცდილი მძღოლი სოსო ცქიფურიშვილი. ჯერ ერთი, რომ ამ მონაკვეთის დაძლევას საკმაოდ დიდ დროს ვანდომებდი (განსაზღვრულია რა დროს უნდა ვიყო თბილისში) და მეორეც განსაკუთრებული სიფრთხილე მჭირდება, რომ მკვეთრ, ერთმანეთის მიყოლებით მდებარე მოსახვევებში შემოვარდნილი, ვინმე თავზეხელაღებული მძღოლისათვის, ავტობუსი ამერიდებინა (სიტყვამ მოიტანა და თუ გზაზე მოძრაობის წესები არ გამკაცრდა, საჭესთან ნასვამი მძღოლი თუ არ გამოირიცხა, მარტო ჩემი და ჩემნაირი მძღოლების სიფრთხილე საქმეს ვერ უშველის, ავარიების შედეგები უფრო კატასტროფული იქნება). ახლა მომეხსნა დაძაბულობა და გულდამშვიდებული გავდივარ ადრინდელ სახიფათო მოსახვევებს, წინ გასწორებულ გზაზე, ხელისგულივით ჩანს ყველაფერი, მეც გულმშვიდად ვარ და ჩემი მგზავრებიც. მინდა მადლიერება გამოვხატო ყველას მიმართ, ვინც ამ კეთილ საქმეს თავი დაადგა—საგზაო დეპარტამენტისა და თითოეული გზის მშენებლისადმი. განსაკუთრებით მადლიერება იმ მოსახლეობას, რომლებმაც საკარმიდამო ნაკვეთების გარკვეული ფართობები დათმეს გზის გასწორებისათვის.

ღმერთმა ყველას მშვიდობაში მოგვახმაროს.

ი. ერაძე

წინმსწრები ტემპით

თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაიწყო სოფელ სიქთარვისა და ჩხარი-ეწრის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მესამე ეტაპი.

მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ამ სამუშაოების თაობაზე დეტალური ინფორმაცია ადგილზე მორიგი ჩასვლისას მიიღო მეგზევეებისაგან.

„ხელშეკრულების მიხედვით აღნიშნული პროექტის დასრულება 2022 წელს უნდა მოხდეს, თუმცა დღეის მდგომარეობით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ ბორანი“-ს მიერ წინსწრებით ხდება 2022 წლის ვალდებულების შესრულება. პროექტის ფარგლებში მოხდება გზის საფარის მეორე ფენის დაგება, ასევე დასრულდება სანიაღვრე სისტემებისა და მიერთების მოწყობა. გზის რეაბილიტაციის შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც ქალაქის ცენტრთან, ასევე მეზობელ სოფლებთან დაკავშირებას, დროის მოკლე მონაკვეთში, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შეძლებს“—განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა.

საპროექტო სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარეობს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ამირან ვერულაშვილი ხელმძღვანელობდა.

დეპუტატებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი 6 საკითხის შესახებ იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს.

გარდა ამისა, ცვლილებები შევიდა „მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივლისის N 46 48 განკარგულებაში; მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესახებ, 2014 წლის 24 ივლისის N7 დადგენილებასა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ, საკრებულოს 2018 წლის 4 ივლისის N46/46 განკარგულებაში.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს საკითხს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის 22- ე ქუჩისათვის „ლეიტენანტ ალია ბარდაველიძის“ სახელის მინიჭების შესახებ და ასევე საკითხს ქ. თერჯოლაში რუსთაველის ქ. N109- ში მდებარე 11.4 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის ა(ა)იპ - „თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრისათვის“ გადაცემას.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი, მოადგილეებსა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

როგორ ვმართოთ პირადი მეურნეობა

გასულ თვეში თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფლის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს.

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებამ დეტალური ინფორმაცია მიიღო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმდინარე პროგრამების/პროექტებისა და ინიცირებული სერვისების შესახებ, გარდა ამისა საუბარი შეეხებოდა საინფორმაციო პორტალზე- my.mepa.gov.ge დარეგისტრირების საკითხს, სადაც დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა მართონ თავიანთი მეურნეობა, მიიღონ რჩევები და მომსახურეობები.

აქტივობის მიზანია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა ჩართულობა, ამ კუთხით ცნობიერების ამაღლება და სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკის განხორციელება, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის გაზრდის ხელმისაწვდომობის კუთხით.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ - https://www.facebook.com/rda.gov.ge

სასარგებლო ვიდეოკონფერენცია

ევროკომისიის დაფინანსებული პროგრამის, „ევროკავშირი ახალგაზრდებისთვის“ -EU4Youth ფარგლებში გაიმართა მორიგი საინფორმაციო ხასიათის ვიდეოკონფერენცია.

ონლაინ კონფერენციაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ეკატერინე დგებუაძე, სამინისტროს პროფესიული სწავლების დეპარტამენტისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებული კერძო სექტორისა და ახალგაზრდული სექტორის წარმომადგენლები.

ვიდეოკონფერენციას, ევროკავშირის სახელით პოლიტიკის ლაბის ფასილიტატორი, ხატია აგიაშვილი და თანაფასილიტატორი ირაკლი გიორბელიძე უძღვებოდა. „ევროკავშირი ახალგაზრდებისთვის“ - (EU4YOUTH) პროგრამის მთავარი მიზანია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ეკონომიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა. თერჯოლის მუნიციპალიტეტში პროექტი ახალგაზრდების დასაქმებას, მათი უნარ-ჩვევების განვითარებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას ითვალისწინებს.

ჩვენი სოფელი...

ალისუბნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული

ალისუბანი ერთ-ერთი დიდი სოფელია მუნიციპალიტეტში, როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობით.

იგი თავის მხრივ აერთიანებს 5 მსხვილ დასახლებულ სოფელსა და უბანს. ესენია: ქვედა ალისუბანი, ზედა ალისუბანი, მაჩიტაური, თხილთაწყარო და ზარნაძეების უბანი. ისე, როგორც მუნიციპალიტეტის სხვა თემსა და სოფლებში, აქაც ბევრი რამ გაკეთდა არჩევნებიდან არჩევნებამდე პერიოდში. მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტით და სოფლის დახმარების პროგრამით. უკეთ ვინ შეიგრძნობს და უფრო ვის ახარებს სოფლისათვის წაშველებული ხელი, გაკეთებულ-მოგვარებული თუ არა მერიის წარმომადგენელს ადმინისტრაციულ ერთეულში იაგო აბჟანდაძეს. იგი 2018 წლიდანაა ამ თანამდებობაზე, მანამ კი სპეციალისტად იყო წარმომადგენლობაში. კარგად იცნობს თითოეული მოსახლის ავ-კარგს, სიამოვნებს მათი დალხინება და ტკივა მათი სატკივარი. კარგი ავტორიტეტით სარგებლობს საზოგადოებაში, მისხალ-მისხალ აღნუსხავს გაკეთებულს. აი ისიც:

ციფრები, ფაქტები...

სოფელში განხორციელდა რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის: დასრულდა სკანდე-ალისუბნის შემაერთებელი ბეტონის გზის დარჩენილი მონაკვეთი. სიგრძით 1700 მეტრი. პროექტის ღირებულება 532 000 ლარი. აშენდა 2 ახალი ხიდი,—ზედა ალისუბნის ბუცხრიკიძეების უბანში და ქვედა ალისუბანში კახიძეების და ხაჭაპურიძეების უბნების შემაერთებელი. პროექტის საერთო ღირებულებაა 80 000 ლარი.

ზედა ალისუბანში დიაკონიძეების უბანში წყლის ავზის ტერიტორიაზე მოეწყო ჭაბურღილი (60 000 ლარი).

ქვედა ალისუბანში შეიცვალა 1500 გრძივი მეტრი წყლის ცენტრალური მაგისტრალი პოლიეთილენის მილით (90 მმ-იანი დიამეტრის), რომლითაც 80 ოჯახი გრაფიკით მიიღებს წყალს.

ზედა ალისუბანში მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ერთ სოციალურად დაუცველ ოჯახს ვუშენებთ კაპიტალურ სახლს (32 000 ლარი).

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები:

ზედა ალისუბნის ცენტრში მოეწყო კაპიტალური მგზავრთა მოსაცდელი (5 000 ლარი).

ქვედა ალისუბანში ბუცხრიკიძეების უბანში, მოეწყო მგზავრთა მოსაცდელი (5 000 ლარი).

ქვედა ალისუბნის ცენტრიდან სკანდის მიმართულებით მოეწყო გზაზე გარე განათება (10 000 ლარი).

ზედა ალისუბნის ცენტრიდან მოეწყო გარე განათება ჩხარის მიმართულებით (12 000 ლარი).

ზედა ალისუბნის ცენტრში მოეწყო საფეხბურთო მინი სტადიონი (52 000 ლარი).

ქვედა ალისუბანში აბისინიის უბანში მოეწყო შახტური ჭა. აგრეთვე წელს მოეწყობა სამი შახტური ჭა (ქველიძეების, ბოჭორიშვილების და სახელაშვილების უბანში). საერთო ღირებულება 12 000 ლარი.

დამთავრების პროცესშია თერჯოლა-ჭიათურის დამაკავშირებელი ახალი სამანქანო გზის, ალისუბანში გამავალი 5 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა. ამ მასშტაბური პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 11 მილიონი ლარია.

სოციალური დახმარების პროგრამით:

არჩევნებიდან განვლილ პერიოდში ალისუბანში მცხოვრებ 1075 შეჭირვებულ პირს გაეწია 200 215 ლარის დახმარება. მათ შორის:

მედიკამენტებისათვის—10 166 ლარი;

სურსათისათვის—8206 ლარი;

სახლდაზიანებისათვის—19 650 ლარი;

ფინანსური—57 400 ლარი;

თანადაფინანსების—53 672 ლარი;

ახალშობილებზე—12 650 ლარი;

ეპილეფსია, პარკინსონი— 7 950 ლარი;

უსინათლოთა— 10 670 ლარ;

18 წლამდე დიაბეტი, ფენილკეტონურია— 6 800 ლარი;

დიალეზი—11 150 ლარი;

ეს, რაც ძირითადში წინა არჩევნებიდან დღემდე გაკეთდა ალისუბანში მომავალ არჩევნებამდე კი არც თუ ცოტა დროა.



ხიდი მდინარე ჩხარაზე

მდინარეს სახელიღა შემორჩა, თორემ მკაცრი გვალვების გამო ახლა რუსავით მოწანწკარებს კალაპოტში. ამ „მდინარეზე“ ოდითგან, ე.წ. კახიძეების წყაროსთან, საკმაოდ დიდი, თითქმის 20 მეტრამდეა, ხიდი იყო გადებული. სიტყვა ოდითგან შემთხვევით არ გვითქვამს, რადგან იმ უხსოვარ დროს, აბრეშუმის გზით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალ ქარავნებს ამ ხიდზე უნდა გაევლოთ.

ხიდს თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს, ადგილობრივ მოსახლეობას რომ თავი დავანებოთ, ჩხარიდან თუზისაკენ მიმავალი მგზავრები და ისტორიული სკანდის ციხეზე მიმავალი ტურისტები, ამ ხიდით სარგებლობენ.

3-4 წლის წინათ მწყობრიდან გამოვიდა ხიდი. საჭირო გახდა მისი მთლიანი აღდგენა. ადგილობრივი ხელმძღვანელობის ძალისხმევით გამოიყო თანხა, მომზადდა პროექტი, მაგრამ ამ ყბადაღებული ტენდერების გამო, გაჭიანურდა ხიდის მშენებლობა.

არადა არ გამოჩნდა მსურველი, ვინც სამუშაოს მოჰკიდებდა ხელს. უფრო ადრე ქარელელმა გზის მშენებლებმა შეაკეთეს ხიდი (სად ქარელი, სად თერჯოლა!) ხის ფიცრებით გადაპოლეს, რომელიც მალე დალპა და ხიდი მთლიანად აღსადგენი გახდა.

ღვთის ნებით ამჯერად თერჯოლელმა გზის მშენებლებმა მოჰკიდეს საქმეს ხელი და ისე საიმედოდ აღადგინეს ხიდი დროს გაუძლებს. მკვიდრად ამოყვანილი ბურჯი და ლითონის მასიური ფურცლებით გადაჭედილი სასიარულო მონაკვეთი, ამის გარანტიას იძლევა.

მადლიერნი ვართ ყველასი, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეს თავი დაადგა.

მ. ბუცხრიკიძე
ადგილობრივი მცხოვრები
მოამზადა ი. ერაძემ

„იმერმედის“ („თერჯოლამედის“) ოთხი წელი...

სრული ოთხი წელი გავიდა სამედიცინო კლინიკა „თერჯოლამედის“ გახსნიდან. ყველა დაპირება, რაც კლინიკის დამფუძნებლებმა მისცეს მოსახლეობას, შესრულებულია. ბატონ ვლადიმერ კეპულაძეს, რომელსაც წარსდგენა აღარ სჭირდება, 2021 წლის 17 ივნისს, ოთხი წლის იუბილის აღნიშვნის ტრადიციულ დღეს, დაპირებები აღარ გაუცია... თუმცა, ვინ იცის, იქნებ საქმე გვაქვს ჯერ არ გასამხელ გეგმებზე, ვნახოთ რა იქნება მომავალში.

„თერჯოლამედში“ ოთხი წლის განმავლობაში გაკეთდა ყველაფერი, რაც უნდა ჰქონდეს საყოველთაოდ აღიარებულ კლინიკას. აქ შესაძლებელია მაღალკვალიფიციური და ხარისხიანი მომსახურების მიღება. კლინიკა ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, გარკვეული თანადაფინანსების პროგრამა აქვს მუნიციპალიტეტის მერიას. კლინიკა სისტემატურად ატარებს გასვლით უფასო გასინჯვებს იმერეთის მუნიციპალიტეტში. აქტიურად მუშაობს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, კარდიოლოგია, ნევროლოგია, თერაპია, ოფთალმოლოგია, პედიატრია, ანგიოლოგია, გინეკოლოგია, დერმატო-ვენეროლოგია, ენდოკრინოლოგია, ონკოლოგია, უროლოგია, ზოგადი და ბავშვთა ქირურგია, პროქტოლოგია, ტრამვატოლოგია, ნეოროქირურგია, ინფექციური, ინტენსიური თერაპია და რეანიმაცია, აქ შეიძლება პაციენტმა ჩაიტაროს: მუცლის ღრუს ორგანოების, ჩიყვის, ძუძუს კიბოს ოპერაციული მკურნალობა, მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრის ენდოპროთეზირების, ნეიროქირურგიული, პროქტოლოგიური და ოფთალმოლოგიური ოპერაციები.

ტარდება ცხვირის გამრუდებაზე პლასტიკური ოპერაციები, სისხლძარღვთა კორონოგრაფია და სტენტირება, ფუნქციონირებს ავტორიზებული აფთიაქი, წესრიგშია ინფრასტრუქტურა...

სამედიცინო ცენტრი ჩართულია ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში, პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან კვებით, ფუნქციონირებს გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი, აღჭურვილი მობილური ციფრული რენტგენით, პორტარტული ექოსკოპიით, ბრონქოსკოპიით.

გახსნილია ულტრათანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამშობიარო სახლი, დიალეზის განყოფილება, კლინიკა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური ადგილობრივი კადრებით და მოწვეული სპეციალისტებით.

* * *

კლინიკა „თერჯოლამედი“ 2020 წლიდან გადავიდა ქსელური განვითარების პროცესზე, დაერქვა „იმერმედი“, რომლის სახელით ქ. ტყიბულში გაიხსნა პირველი საექიმო საკონსულტაციო ცენტრი.

„იმერმედი“ თავიდანვე ჩაერთო უხილავ „მტერთან“ ბრძოლაში. „იმერმედი“ არის ერთადერთი კლინიკა, რომელიც ემსახურება კოვიდინფიცირებულ ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებს. გასული წლის ოქტომბერში, ჯანდაცვის მინისტრის დადგენილების საფუძველზე, 84 საწოლის მქონე კლინიკა ერთ დღეში გადაკეთდა 111 საწოლი ფონდის მქონე კოვიდცენტრად. 2021 წლის იანვარში, პაციენტთა ჭარბი მომართვიანობის გამო, კლინიკის საწოლ ფონდი გაიზარდა 140-მდე და „იმერმედი“ იქცა „ჰიბრიდულ“ სამედიცინო დაწესებულებად, სადაც მომსახურებას უწევენ არა მარტო კოვიდინფიცირებულ, არამედ სხვა კლინიკური ნიშნის მქონე პაციენტებს.

სულ ოთხ წელიწადში ამბულატორიული მომსახურება გაეწია 48 903 პაციენტს, სტაციონალური 17 790 პაციენტს, კოვიდპანდემიიდან დღემდე კი 2 275 კოვიდ პაციენტს.

ასეთია მოკლედ კლინიკის მიერ ოთხი წლის მანძილზე გაწეული საქმიანობა.

სამადლობელი წიგნი...

კლინიკის სამადლობელი წიგნი პაციენტების მოთხოვნით გაიხსნა, იგი სავსეა პაციენტთა ჩანაწერებით, სამადლობელ წერილებს გვიგზავნიან გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციაში, ყოველი სამადლობელი სიტყვა ექიმებისა და კლინიკის თითოეული თანამშრომლისთვის არის სტიმული, ერთგვარი „ავანსი“ უკეთესი და ეფექტური მუშაობისათვის.

ზურაბ რობაქიძის სამადლობელი

„რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი“-ო, ბრძანებს რუსთაველი. იავადმყოფა თერჯოლის მკვიდრმა და მასზე უზომოდ შეყვარებულმა, აკადემიკოსმა ზურაბ რობაქიძემ. „მოუხმო მაჯის შემტყვებართ“ „იმერმედის“ ექიმებს. „85 წლის მანძილზე პირველად გავხდი ავად და „იმერმედში“ მიმკურნალეს, ახლა თქვენც მხედავთ, რომ კარგად ვარ“, თქვა ბატონმა ზურაბმა იუბილეზე და სამადლობელი სიტყვები არ დაუშურებია ექიმებისა და სხვა მომსახურე პერსონალის მიმართ.

* * *

პანდემიამ ვერ ჩაშალა ტრადიცია. „იმერმედის“ თანამშრომლებმა 2021 წლის 17 ივნისს მოკრძალებულად, მაგრამ მაინც აღნიშნეს „იმერმედის“ დაბადების დღე. შეხვედრა რეგულაციების სრული დაცვით მიმდინარეობდა, იგი ბატონმა ვლადიმერ კეპულაძემ გახსნა, მოკლედ მიმოიხილა განვლილი ოთხი წელი, მადლიერება გამოხატა თანამშრომლების მიმართ, შეაფასა მათი თავდაუზოგავი შრომა და მომავალში უკეთ მუშაობის იმედი დაიტოვა. როგორც ყოველთვის, პატივი მიაგეს გარდაცვლილი თანამშრომლების და პაციენტების ხსოვნას.

* * *

სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის თერჯოლის ბიუროს თავმჯდომარე ბატონი ბონდო სოფრომაძე, ვეტერანთა კავშირის სოციალურ საკითხთა და საალრიცხვო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი ამური რევიშვილი, კლინიკის ექიმები: დავით სარიშვილი, ლალი გვეტაძე, კლინიკის მთავარი ექიმი სოფო ბუსკივაძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები მანუჩარ რობაქიძე და მირზა ქოჩიაშვილი, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, მასმედიის, ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის და „საქნახშირის“ წევრები, პარტნიორი სამედიცინო დაწესებულების: გორმედის, ქუთაისის, პირველადი ჯანდაცვის ცენტრის, ხონის ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის ცენტრის, ბაღდათის სამედიცინო ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელები და თანამშრომლები, სხვა მოწვეული სტუმრები.

დაჯილდოება

ბატონმა ვლადიმერ კეპულაძემ კლინიკის თანამშრომლების ერთ ნაწილს სიგელები და ფულადი ჯილდოები გადასცა, მადლობის სიგელით დაჯილდოვდნენ: ხარისხის მენეჯერი, პოლიკლინიკის გამგის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ ნანეიშვილი, ანესთეზიისა და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის განყოფილების გამგე გივი კოჭლამაზაშვილი, კრიტიკული და გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის უმცროსი ექიმი, ნიგერიის მოქალაქე დენნის უჩუჩუკვუდი, შიდა კონტროლისა და უსაფრთხოების სამსახურის სანიტარ-მანდატური კახაბერ ფანჩულიძე, მიმღები და გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის მედდა ლამზირა აბულაძე, ალტერნატიული სამხედრო მომსახურე, მეეზოვე მათე ჭანტურიძე, ტყიბულის საექიმო საკონსულტაციო ცენტრის მანდატური ნიკა ზოსიაშვილი.

„გრაალის“ თასი

მოულოდნელი იყო ვლადიმერ კეპულაძისათვის სამადლობელი სიგელის „საუკეთესო ხელმძღვანელი“ და „იმერმედის“ ლოგოს სიმბოლოს „გრაალის“ თასის გადაცემა, ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელისაგან კი, როგორც აფხაზეთის ომის ვეტერანს, სამადლობელი სიგელი— ხანგრძლივი თანამშრომლობისა და პატივისცემის ნიშნად.

ჟუჟუნა ცხადაძე

დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების ამაღლებით

დასრულდა სასწავლო-სააღმზრდელო წელი მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში. ეს წელიც, ისე როგორც გასული 2019-2020 წელი, პანდემიის რეგულაციებმა ტრადიციული სასწავლო პროცესიდან სრულიად განსხვავებულ, ანუ დისტანციური სწავლების, არც ისე მიმზიდველ ფორმატში გადაიყვანა, თუმცა ცენტრმა, მისმა თითოეულმა წრემ, კლუბმა თუ სხვადასხვა ფორმირებებმა, მათმა კოორდინატორებმა, აღსაზრდელებმა და მათმა მშობლებმა ერთმანეთის თანადგომითა და ძალისხმევით ყველაფერი გააკეთეს შემაჯამებელი აქტივობები თითოეულისათვის ყოფილიყო საინტერესო, შინაარსიანი და დასამახსოვრებელი.

ცენტრის დირექციას, ქალბატონ რუსუდან კოვზირიძეს, თითოეულ აღმზრდელს, რომლებიც დიდი პასუხისმგებლობით და თავიანთი პროფესიის სიყვარულით ემსახურებიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობას მიზნის მიღწევა ნამდვილად გამოუვიდათ. „ონლაინ“ თუ ღია სივრცეებში, თუნდაც სამუშაო ოთახებში შეზღუდვების გათვალისწინებით მუშაობა, საბოლოო ჯამში იყო იმის შესაბამისი, რასაც მათი სამუშაო გეგმები მოიცავდა...

ყოველივე ამის პარალელურად, ცენტრში, ასევე საინტერესოდ, გეგმის მიხედვით გრძელდებოდა სხვადასხვა პროექტებზე მუშაობა.

ერთ-ერთი ასეთი პროექტის „დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების ამაღლებით“ შემაჯამებელი აქტივობა 8 ივნისს გაიმართა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის საქტო დარბაზში.

პროექტი, რომელიც საქართველოს მასშტაბით ოთხ მუნიციპალიტეტში და მათ შორის თერჯოლის მუნიციპალიტეტში ხორციელდება, დაფინანსებულია ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და USAID-ის მიერ.

მედიაწიგნიერების შესახებ ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება ახალგაზრდებში—ესაა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) თანამშრომლობის მთავარი ფოკუსი...

თანამედროვე სამყაროში, სადაც ინფორმაციის ნაკადი სულ უფრო იზრდება, საზოგადოებას უწევს ამოარჩიოს სანდო ინფორმაცია. ეს კი ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს საზოგადოებას—განივითაროს ინფორმაციის სელექციის უნარი. საქართველოშიც სულ უფრო აქტუალური ხდება მედიაწიგნიერების განვითარების საკითხი, რადგან მხოლოდ მედიაწიგნიერ და კრიტიკულად მოაზროვნე საზოგადოებას შეუძლია თავი დაიცვას დეზინფორმაციისაგან. სწორედ ეს მიზანი აქვს ახალგაზრდებში მედიაწიგნიერების ამაღლებას, საბოლოო მიზანი კი ქართველ ახალგაზრდებში გაიზარდოს მედიაწიგნიერების უნარები და კრიტიკული აზროვნება, რათა მათ შეძლონ აქტიურად შეუწყონ ხელი საკუთარ თემში დემოკრატიულ პროცესებს.

პროექტის ბენეფიციარებია სამიზნე რეგიონებში ახალგაზრდებთან მომუშავე ორგანიზაციები, მუნიციპალური ახალგაზრდული ცენტრები, რეგიონში მომუშავე მედიასაშუალებები, სამოქალაქო განათლების პედაგოგები, ადგილობრივი ახალგაზრდობა და საზოგადოება...

თერჯოლის მოსწავლე- ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში ფართომასშტაბიანი, მრავალპროფილური მუშაობა ერთ უმთავრეს მიზანს ემსახურება: ესაა „ქვეყნის ღირსეული მოქალაქის აღზრდა“, ამავე მიზანს ემსახურება სწორედ არასამთავრობო ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდთან“ მისი პარტნიორის სტატუსით თანამშრომლობა პროექტის „დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების ამაღლებით“ ფარგლებში.

პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაცია 8 ივნისს ცენტრის სააქტო დარბაზში „კოვიდ-19“-ის რეგულაციების დაცვით ჩატარდა, სადაც ძირითადად პროექტში ჩართული პირები იყვნენ შეკრებილი. მათ შორის შვიდი საჯარო სკოლის წარმომადგენლები, ბენეფიციარები, საიდანაც იყვნენ შერჩეული ბავშვები.

პროექტის ხელმძღვანელმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა რუსუდან კოვზირიძემ და პროექტის ფასილიტატორმა ანა რობაქიძემ წარმოადგინეს გაწეული მუშაობის ანგარიშის პრეზენტაცია. შეეხნენ იმ აქტივობებს, რომელიც პროექტის ფარგლებში გაიარეს სემინარ-ტრენინგებიდან მოყოლებული, მის საბოლოო შედეგებამდე.

როგორც აღინიშნა პროექტისათვის შერჩეული იყო ორი სამიზნე ასაკობრივი ჯგუფი, სულ 20 ახალგაზრდის შემადგენლობით და მათთან მიმდინარეობდა მუშაობა.

მედიაწიგნიერების ამაღლება დოკუმენტური ფილმებით

რამდენადაც თანამედროვე განათლების მიღების მეთოდიკას სხვა მიდგომები და მიმართულებები აქვს, მოცემული პროექტი მედიაწიგნიერების ამაღლებას ახალგაზრდებში დოკუმენტური ფილმების ჩვენებით და შემდგომ მისი განხილვა-გაანალიზებით ახდენს. ამ მიზნით, პროექტის ფარგლებში, მაისში 18-30 წლიანთა ჯგუფის 10 ახალგაზრდასთან დაიწყო 5 დოკუმენტური ფილმის ჩვენება-ფასილიტაცია.

პირველი ფილმი, რომელიც ნახეს ახალგაზრდებმა იყო „ახალი ამბები“, ფილმი გადაღებულია ჩეხეთში 2018 წელს, რეჟისორ ტომაშ ბოიარის მიერ. ფილმი ასახავს სინამდვილეს და აჩვენებს თუ რა ხდება მაშინ, როცა ჟურნალისტებს ახალ ამბებზე წვდომას უზღუდავენ.

რეჟისორი ორ სხვადასხვა რედაქციაში აკვირდება ჟურნალისტების ერთდღიან ბრძოლას ახალი ამბების მოსაპოვებლად. ფილმი ასევე ეხმაურება ობიექტურობის საკითხს თანამედროვე ჟურნალისტიკაში...

ფილმის ნახვის შემდეგ მათ შეასრულეს ფასილიტატორის მიერ შეთავაზებული სავარჯიშოები და საინტერესო დისკუსიაც გამართეს მედიის როლსა და ფუნქციაზე საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

ასევე გაგრძელდა მუშაობა შემდგომში დოკუმენტური ფილმების „გენერალური გეგმა“, „გამო(მ)იწერე“, „რა გაიძულებს დაწკაპუნებას“ და ა.შ.

მიზანი ასეთია: მოსწავლემ უნდა შეძლოს თითოეულ დოკუმენტურ ფილმში, მედიასივრცეში დამოუკიდებლად ორიენტირება, ინფორმაციის გადარჩევა-გადაფასება და მისი კრიტიკულად შეფასება. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კიდევ ერთი ახალი ნაბიჯი გადაიდგა თერჯოლაში დოკუმენტური ფილმების პოპულარიზაციისა და მისი საგანმანათლებლო მიზნით.

პროექტში ჩართულ მოსწავლეებს აღნიშნული მეთოდით გამოუმუშავდებათ სწორი ხედვა, რათა შემდეგში შეძლონ ინფორმაციის განსხვავება დეზინფორმაციისაგან, ყალბი ინფორმაციისა-მცდარისაგან, განუვითარდებათ მედიაწიგნიერების და კრიტიკული აზროვნების უნარი. ამ დოკუმენტური ფილმის ნახვის შემთხვევაში „ახალი ამბები“ და ჟურნალისტიკა გახდა მათი მსჯელობის საგანი.

„მე აქ გავიგე მთავარი“...

პროექტის ფარგლებში დოკუმენტური ფილმების ჩვენება-ფასილიტაციის ანუ პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, დადგა დრო მიღებული ცოდნის შეჯამების. ტესტირებაში ორივე ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა. პრეტესტისა და ტესტის შედარებამ პროექტის ხელმძღვანელებს მისცა იმის თქმის საშუალება, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ბენეფიციართა ცნობიერების დონე ამ მიმართულებით და მან საშუალოდ 30%-35% შეადგინა მათთვის ნაცნობ საკითხებზე, ამასთან იყო ისეთი საკითხები, რომლის შესახებ პროექტის ფარგლებში გაიგეს:

„მე აქ გავიგე მთავარი, ფილმი არ არის მხოლოდ გასართობი, დროის გაყვანის საშუალება, ფილმი იკითხება და მიზანმიმართულად მუშაობს“, აღნიშნა ანანო აბულაძემ, პროექტის ერთ-ერთმა მონაწილემ.

ფილმებით, რომ პროექტის მონაწილეთა ცოდნის დონე მაღლდება, ამას ადასტურებს მათ მიერ პრაქტიკული სავარჯიშოებით გამოვლენილი ცოდნა, უნარები, მსჯელობა-ანალიზზე. თითოეული მათგანი პრეზენტაციაზე გამოთქვამდა მადლიერებას პროექტში ჩართულობის და ფილმების, ფაქტების თუ ინფორმაციების შეფასებისათვის სათანადო ცოდნის მიღების გამო. აღნიშნავდნენ, რომ ამიერიდან არსებითად შეცვლიან ამ მხრივ თავიანთ დამოკიდებულებას.

ძალიან საინტერესო იყო მუშაობა, ამ პროექტმა დამანახა, რომ დოკუმენტური ფილმი ძალიან საჭიროა და გვაძლევს მრავალმხრივ ინფორმაციას, აღნიშნა ერთ-ერთმა ბენეფიციარმა.

პრეზენტაციაზე პროექტში ჩართულ მოსწავლე ბენეფიციარებს (ნატალი ბუსკივაძეს, ირმა გიორგაძეს, ანანო აბულაძეს, გიგი ჯიქიძეს, ლიზი დვალს, მარიამ ყველაიძეს, მარიამ რობაქიძეს, ანა ცხადაძეს, ქეთი ქოჩიაშვილს, ლია ლორთქიფანიძეს და ახალგაზრდებიდ ჯგუფს: ნოდარ ვაჭარაძეს, გიორგი რობაქიძეს, ლევან რობაქიძეს, საბა კუპაშვილს, ბაჩო თოდიძეს, ბექა მაკარიძეს, მარიამ პატარიძეს, მარიამ ბუსკივაძეს, ლია ისაკაძეს, ანუკა სირბილაძეს) პროექტის ხელმძღვანელმა სერთიფიკატები გადასცა, მათ აგრეთვე მიენიჭათ ფასილიტატორის წოდება. ასევე პროექტის ფარგლებში გამართული ლიტერატურული კონკურსის: „კინო გასართობია“-ს გამარჯვებულები დიპლომებით და წიგნებით დაჯილდოვდნენ...

როგორც აღინიშნა პროექტის ერთი ეტაპი დასრულდა, თუმცა პროექტი გრძელდება თითოეული ბენეფიციარი, რომელმაც სერთიფიკატი მიიღო და ფასილიტატორის წოდება მიენიჭა ახლა ისინი თავიანთ სკოლებში სამიზნე აუდიტორიასთან გააგრძელებენ მუშაობას, რომელიც მიმართული იქნება მედიაწიგნიერების ამაღლებისათვის, საბოლოოდ კი დემოკრატიის გაძლიერებისათვის.

შემაჯამებელი აქტივობის მონაწილეებს საშუალება ჰქონდა ენახათ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის კინოკლუბის მიერ 2 წლის წინ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „შინ“. ფილმის სცენარი, რეჟისურა და გადაღება ცენტრის ძალებით გაკეთდა. ფილმმა, რომელიც ემიგრანტი ქალბატონის შინ დაბრუნებას ასახავს სოციალურ ქსელში დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ფილმი ემიგრაციაში საშოვარზე გადახვეწილი ქალბატონების ცხოვრების დაფარულ, ჩრდილოვან მხარეს წარმოაჩენს, ანუ იმ მწარე და ტკივილიან განაჩენს, რომელიც ცხოვრების სისასტიკემ მათ არგუნა...

ჩნდება ლოგიკური კითხვაც: წასვლაა ძნელი თუ შინ დაბრუნება...

თემის სიმწვავიდან გამომდინარე ფილმის სიუჟეტმა შემაჯამებელი აქტივობის მონაწილეთა შორის კამათი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

აქტივობა შეაჯამა პროექტის კოორდინატორმა ქალბატონმა ქეთი გოცირიძემ: აღნიშნა, რომ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში, სადაც საინტერესო მუშაობა მიმდინარეობს ახალგაზრდებისათვის პროექტებიც ყოველთვის წარმატებულად ხორციელდება, ამის თვალსაჩინო მაგალითია დღევანდელი პრეზენტაცია. როცა ასეთი ახალგაზრდები გვყავს ტველა სიძნელე დაიძლევა, მათ წინ ვერაფერი დაუდგება... აღნიშნა მან.

მზია ცქიფურიშვილი

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შეიქმნება წიგნი „ოჯახის ცხოვრება“

რაც დღეს ხდება მსოფლიოში ზნეობრივი კუთხით, ასეთზე, 20-30 წლის წინ ძნელად თუ იფიქრებდა ნორმალური ადამიანი.

„უგულვებელყოფილია დემოკრატიის მთავარი პრინციპი და წახალისებულია ის ლიბერალური ფაშიზმი, რომლის ფარგლებში ყველა ჯურის უმცირესობა ძალადობს უმრავლესობაზე“. ყველგან და ყველაფერში ზღვარდაუდებელმა ლიბერალიზმმა საფუძვლები შეუსუსტა ტრადიციულ ქართულ ოჯახსაც. მკვიდრდება ისეთი ზნეობრივი კატეგორიები, რომლებიც უცხო და მიუღებელი იყო საზოგადოებისათვის. მსოფლიო სულ უფრო და უფრო ემსგავსება სოდომსა და გომორს. მოახლოებულია ჟამი.

ამის გამოა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ყოველი წლის 17 მაისი, ოჯახის სიწმინდის დღედ იქნა გამოცხადებული. აღინიშნება კიდეც, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არაა საკმარისი და აი, უწმინდესის და უნეტარესის ახალი სასიხარულო ინიციატივა—მომზადდება და დაიწერება წიგნი „ოჯახის ცხოვრება“. უწმინდესი წუხს, რომ არ გვაქვს „ადამიანის ინსტიტუტი“, სადაც სწორედ რომ ადამიანობა და შვილების სწორად აღზრდა ისწავლება.

პატრიარქმა სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოპრესვიტერს დაავალა, დაწეროს წიგნი „ოჯახის ცხოვრება“.

ისეთი პერიოდი მოდის, თქვა მან ქადაგებისას, როცა ვერ წარმოგიდგენია, რა იქნება ხვალ. ამიტომ ჩვენ უნდა გვქონდეს სახლიც, ნაკვეთიც, ჩვენი მოსავალიც, უნდა ვიცოდეთ შრომა, დავამუშაოთ მიწა. მიწა მკურნალია, მიწიდან ვართ ჩვენ და სიყვარული უნდა გვქონდეს მიწისა.

გვაქვს ბევრი სასწავლებელი, მაგრამ ადამიანის უნივერსიტეტი არ გვაქვს. ადამიანი ურთულესი პიროვნებაა და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ აღვზარდოთ ჩვენი შვილები.

ჩვენთან მოდიან ახალგაზრდებიც, მოხუცებიც, ხშირი შემთხვევაა, როცა დედ-მამას ჰყავს ერთი შვილი და დაოჯახების შემდეგ იგი ტოვებს თავის მშობლებს და მიდის ცალკე. შეიძლება მშივრები არ არიან მშობლები, მაგრამ სიყვარული აკლიათ თავიანთი შვილებისაგან. ჩვენ უნდა გვახსოვდეს მცნება: „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“.

სიონის საპატრიარქო ტაძრის, პროტოპრესვიტერს, მამა გიორგის ვავალებ, მისი თაოსნობით დაიწეროს წიგნი „ოჯახის ცხოვრება“, სადაც წარმოჩენილი იქნება, როგორ მოუარონ მშობლებმა შვილებს და შვილებმა მშობლებს, როგორ იმკურნალონ, როგორ იშრომონ. მამა გიორგის ეყოლება კიდევ სხვა დამხმარე ადამიანები. წიგნი უნდა იყოს გასაგები ენით, ამავე დროს მეცნიერულად გამართული, უნდა შედგეს გეგმა, სადაც საუბრები იქნება მედიცინაზე, თავის მოვლაზე, ჰიგიენაზე, წესრიგზე ოჯახში.

თქვენ იცით, რომ ხშირი შემთხვევაა ცოლ-ქმრის დაშორებისა, ამბობენ ხასიათებით ვერ ვთავსდებითო. ადამიანმა უნდა მოითმინოს, უნდა დაუთმოს, ადამიანმა უნდა იცოდეს ოჯახის ფასი. ასე რომ, მისია ისტორიულია. თქვენ ყველას გეძლევათ ლოცვა-კურთხევა მონაწილება მიიღოთ ამ წიგნის შედგენაში, მეც მათ შორის. მე ვიქნები თქვენი მრჩეველი. მის შესახებ დაწერილია ბევრი წიგნი და მათაც გამოვიყენებთ. ჩვენს წიგნს კი დავდებთ ინტერნეტში, ძალიან საინტერესო იქნება. ის იქნება უნიკალური წიგნი, ეკლესიაში დაწერილი, მორწმუნე ხალხის მიერ შედგენილი. მიმართული ოჯახის სიმტკიცის, სიწმინდის და იმ ტრადიციულ ღირებულებათა დაცვისათვის, რომლითაც ჩვენი ხალხი მუდამ ამაყობდა.

ი. ერაძე

სასწავლო წლის ფინიშზე...

ჭკვიანი და გაბედული პირველკლასელები

თერჯოლის №2 საჯარო სკოლის (დირექტორი რუსუდან უსუფაშვილი) პირველი კლასის მასწავლებელმა და კლასის ხელმძღვანელმა ქეთევან გეწაძემ „დაარღვია“ ორმოცწლიანი ტრადიცია და მეათე თაობა, წლევანდელი პირველკლასელები, ანბანის ზეიმის ნაცვლად, ეს გაბედული, ჭკვიანი და საზრიანი ბავშვები ინტელექტუალური თამაშის მონაწილე გახადა.

საინტერესო ჩანაფიქრი, ინტელექტუალური კლუბის „უხილავი ხილულის“ კოორდინატორს ლეილა სირაძეს გაანდო. ქეთევანი დღემდე აგრძელებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან მჭიდრო კავშირს, პირველი მადლობა ქალბატონმა ლეილამ უკვე მიიღო. პატარებისათვის განკუთვნილი პროექტი ნამდვილ სანახაობად იქცა, მათ მაყურებლის გულწრფელი ოვაცია დაიმსახურეს. ღონისძიებამ ინტერესი გამოიწვია, პროგრამულ თუ სააზროვნო კითხვებს გააზრებულად პასუხობდნენ. გამოიკვეთა, რომ ჩვიდმეტივე პირველკლასელი კარგად იცნობს იაკობ გოგებაშვილის განუმეორებელ დედა-ენას, სწორუპოვარ მასალებს ქართული ანბანისას—აი იას და დამარცვლით, თითის გაყოლებით წასაკითხ პატარა მოთხრობებს, ლექსებს, იგავებს, ანდაზებს. „ია“, „ენძელა“, „მერცხალი“—სამივე გუნდი გამორჩეული იყო, მაგრამ როგორც წესი, გამარჯვებული მაინც გამოვლინდა. ეს იყო „ია“.

ინტელექტუალურ თამაშს კლუბის წევრები: ქეთი ქოჩიაშვილი, ბაია სახელაშვილი, სალომე შონია, ლიზი გვენეტაძე, ირაკლი და კახა ნებიერიძეები, ირაკლი დიაკონიძე, შაკო დევიძე, დავით აბესაძე უწევდნენ ორგანიზებას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საჯარო სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები.

ფ ი ნ ა ლ ი

სიქთარვის საჯარო სკოლაში ინტელექტუალური თამაშის „რა, სად, როდის?“ ჩატარება ტრადიციად იქცა. კლასების საუკეთესო მოსწავლეები სასკოლო ფინალში იღებდენ მონაწილეობას, პასუხობდნენ რთულ კითხვებს და ხშირად იმარჯვებდნენ. სხვადასხვა დროს საინტერესო თამაშს, ყოველთვის ბევრი დამსწრე ჰყავდა, მუნიციპალიტეტის, განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელები და სხვა თანამშრომლები, თამაშს იმერეთის მხარის გუბერნატორიც დასწრებია.

ტრადიცია, მიუხედავად სიძნელეებისა, არც წელს დარღვეულა. ამ დღეებში სკოლაში „რა, სად, როდის“ ფინალი გაიმართა.

ფინალში თამაშობდნენ: ბაქარ კვატაია, ლუკა აბჟანდაძე, მარი რობაქიძე, გიგი ჯიქიძე, ქრისტინე გიორგაძე, კაპიტანი გიორგი მუმლაძე. თამაშს სტუმრობდა ტყიბული-თერჯოლა-ზესტაფონი-ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თავმჯდომარე დავით კამლაძე. ბატონმა დავითმა საინტერესო კითხვა დასვა.

წლის მოაზროვნედ მე-10 კლასის მოსწავლე ქრისტინე გიორგაძე დასახელდა და სიმბოლური სამახსოვრო, ბუ გადაეცა. ფინალის მოაზროვნეებთან ერთად დიპლომები გადაეცათ, დავით შალამბერიძეს, საბა მემანიშვილს, დავით გვენეტაძეს, ლუკა ლუტიძეს, ბექა რობაქიძეს, ზურა ბასილაიას.

სკოლის დირექტორს ია კვატაიას თავისი ფავორიტი ჰყავდა—მოაზროვნე ზურა ბასილაია, რომელსაც სამახსოვროდ წიგნი გადასცა.

თამაშებს წლებია უცვლელად ხელმძღვანელობს სკოლის პედაგოგი ნოდარ ბუცხრიკიძე.

ჟუჟუნა ცხადაძე

კორონა პოზიციებს არ თმობს! კორონა არ გვნებდება! მეტი სიფრთხილე გვმართებს!

ეს წერილი მომზადებული იყო, როცა გაცხადდა ღია სივრცეში პირბადის ტარებაზე შეზღუდვის მოხსნა და პირველი ივლისიდან კომენდანტის საათის გაუქმება, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ არ ვატაროთ პირბადეები დახურულ და ღია სივრცეში თუ კი იქ ადამიანთა თავშეყრაა...

მდგომარეობა ისევ სერიოზულია!

ადამიანები კი ამ სერიოზულ მდგომარეობას არასერიოზულად ეკიდებიან.

საფრთხე სახეზეა. და არა, სადღაც შორს ცხრა მთასა და ცხრა ბარს იქით, აგერ, ჩვენს თვალისწინ არის ატუზული! გვიწვევს...

დილა არ გათენდება საგანგაშო სიგნალი არ მივიღოთ.

არის ყოველდღიური ვაი და ვიში.

ერთადერთი ხსნის გზა, როგორც ამას მედიკოსები და შესაბამისი სამსახურები დღენიადაგ დაჟინებით მოგვიწოდებენ არის პანდემიისაგან დამცავი პირბადეების ტარება და აცრა!

ვიყოთ ოპტიმისტები, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ამავდროულად თვალი ვადევნოთ, არცთუ სახარბიელო რეალობას...

გვახსოვდეს—ურწმუნო თომას არსად, არასდროს არ გაუხარია.

სიფრთხილეს თავი არ სტკივა—ნუ გავხდით ამ თეზას საკამათოდ.

ნუ ავითრევთ ფეხს და ავიცრათ, ვისაც როგორ მოგვიხერხდება. ვატაროთ პირბადე. დავინდოთ საკუთარი და გარშემომყოფთა სიცოცხლე.

ამ ყველაფერს გვაწერინებს საზოგადოების ერთი ნაწილის საოცარი გულგრილობა არსებული მძიმე მდგომარეობის გამო.

ადამიანებო, ვიყოთ ფრთხილად.

საშიშროებას ჩავხედოთ თვალებში.

არ დავუშვათ სიცოცხლის ხელყოფა ნებაყოფლობით.

დავინდოთ მომავალი....

ნ. იშხნელი

ბუზები გაფრინდნენ?..

მოვიდა კორონა და გაგაქცია? აბა, რა გეგონა? დამთავრდა შენი პარპაში ზაფხულსა და ზამთარში!

უკან მოხედული არ დაგინახოს ჩვენმა თვალებმა, შე საძაგელო. იკმარე, რაც გვაწამე, რა ფულიც გვახარჯვინე ეგ.წ. ბუზების სატყუარა-მისაწებლებში, ბუზების საკლავ რეზინისა თუ პლასტსმასის ფირფიტებში...

იკმარე, რომ დაგვიტოვე ავადსახსენებელი სიტყვა-თქმანი: „ბუზივით ირევა“; „ბუზებს ითვლის“; „ბუზსაც ვერავინ აუფრენს“ (თითსაც ვერავინ დააკარებსო); „ბუზის გაფრენასაც გაიგონებდითო“ და ა.შ.

რაღა შორს წავიდეთ და ბუზი იმდენად „შემოსული იყო“ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ თვით დიდმა ილია ჭავჭავაძემაც კი გამოიყენა ერთ-ერთ „პერსონაჟად“ თავის „კაციადამიანში“.

ხუმრობა იქით და, მართლაც, სად გაქრა ბუზი?

თუ ეს ასეა, კვალს კორონავირუსისაკენ ხომ არ მივყავართ?

დიდი ფეხბურთი ერთი წლის დაგვიანებით

„ევრო-2020“—11 ივნისს დაიწყო რომში
„ევრო-2020“—11 ივლისს ლონდონში დამთავრდება

ფეხბურთის მოყვარულთ თავიდანვე გაწვდით მცირე, მაგრამ არსებითი ხასიათის განმარტებას: ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელიც 2020 წელს უნდა გამართულიყო, კორონავირუსის პანდემიის გამო გადაიდო, ამიტომ უეფას გადაწყვეტილებით დაუტოვეს მას ძველი სახელი „ევრო-2020“.

ჩვენი გაზეთის ფორმატისა და პერიოდულობიდან გამომდინარე, ბუნებრივია ვერ ხერხდება მწვანე მინდვრებზე გამართული ბატალიების ფეხბურთის მოყვარულთათვის მეტი ოპერატიულობით სრულად მიწვდენა, მაგრამ ეს არ ანელებს გაზეთისადმი ინტერესს. გაზეთის ხიბლი სულ სხვაა, გაზეთს სხვა სურნელი ასდის. დაგვერწმუნებით ამაში. ამიტომ, შევეცდებით ეს უპირატესობა სრულად გამოვიყენოთ და ყველაფერი გიამბოთ, რაზეც ხელი მიგვიწვდება, რასაც კი ყურს მოვკრავთ ან თვალს მოვავლებთ.

„ევრო-2020“-ში 24 ქვეყნის ნაკრები გუნდი მონაწილეობდა (დასანანია, რომ მათ შორის მოსახვედრად საქართველოს ნაკრებს ფორტუნამ არ გაუმართლა).

გუნდები 6 ჯგუფში გადანაწილდნენ (A, B, C, D, E, F).

ჯგუფი A (რომი-ბაქო): თურქეთი, იტალია (მასპინძელი), უელსი, შვეიცარია.

ჯგუფი B (კოპენჰაგენი, სანკტპეტერბურგი): დანია (მასპინძელი), ფინეთი, ბელგია, რუსეთი (მასპინძელი).

ჯგუფი C (ამსტერდამი, ბუქარესტი): ნიდერლანდები (მასპინძელი), უკრაინა, ავსტრია, ჩრდილოეთ მაკედონია.

ჯგუფი D (ლონდონი, გლაზგო): ინგლისი (მასპინძელი), შოტლანდია (მასპინძელი), ხორვატია, ჩეხეთი.

ჯგუფი E (სევილია—სანკტ-პეტერბურგი): ესპანეთი (მასპინძელი), შვედეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი.

ჯგუფი F (მიუნხენი—ბუდაპეშტი): უნგრეთი (მასპინძელი), პორტუგალია (წინა ჩემპიონატის გამარჯვებული), საფრანგეთი, გერმანია (მასპინძელი).

* * *

ჩემპიონატი, როგორც უკვე იცით 11 ივნისს, იტალიის დედაქალაქში თურქეთსა და იტალიის ნაკრებების მატჩით გაიხსნა.

ჩემპიონატის დიდი ნაწილი უკვე გავლილია—24 გუნდიდან მერვედფინალში გასულმა 16 გუნდმაც გაარკვია ურთიერთობა. არის დიდი სიურპრიზებიც.

მეოთხედ ფინალები 2 და 3 ივლისს სანკტ-პეტერბურგში, მიუნხენში, ბაქოსა და რომში გაიმართება.

ნახევრფინალები 6 და 7 ივლისს ლონდონში, ხოლო ფინალი 11 ივლისს ლონდონში „უემბლიზე“.

ჩემპიონატის შედეგებზე დაწვრილებით „თერჯოლის“ მორიგ ნომერში მოგითხრობთ.

* * *

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი—ეს არის ევროპული საფეხბურთო ასოციაციების კავშირის (უეფა) წევრი ქვეყნების ეროვნული ნაკრებების შეჯიბრება, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. პირველი ტურნირი გაიმართა 1960 წელს. 1968 წლამდე ტურნირს ერქვა ევროპის ნაციონალური თასი.

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი სულ 15-ჯერ ჩატარდა და ათი ქვეყნის ნაკრებებმა მოიპოვეს ჩემპიონობა.

ყველაზე მეტჯერ, 3-ჯერ გაიმარჯვეს გერმანიისა და ესპანეთის ნაკრებებმა, ორჯერ მოიპოვა ჩემპიონატის ტიტული საფრანგეთმა, თითოჯერ—საბჭოთა კავშირმა, იტალიამ, ნიდერლანდებმა, ჩეხოსლოვაკიამ, დანიამ, საბერძნეთმა და პორტუგალიამ.

ევროპაში საფეხბურთო ტურნირის ჩატარების იდეა საფრანგეთის ფეხბურთის პრეზიდენტს, შემდგომ უეფას პირველ გენერალურ მდივანს (1954-1955წწ) ანრე დედონეს გაუჩნდა 1927 წელს, მაგრამ პირველი ჩემპიონატი მისი გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ ჩატარდა—1960 წელს. სწორედ ანრე დედონეს სახელობისაა ევროპის ჩემპიონატის თასი.

1960 წლის 6-10 ივნისს საფრანგეთში გამართულ ევროპის პირველი საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სულ 4 გუნდი მონაწილეობდა: საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებები. ჩემპიონობა მოიპოვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში იუგოსლავიის ძლიერი ნაკრები დაამარცხა ანგარიშით 2:1. ამ ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებში საქართველოდან წარგზავნილი იყო ოთხი ფეხბურთელი: გივი ჩოხელი, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და ზაურ კალოევი. მათ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს გუნდის მნიშვნელოვან გამარჯვებაში.

კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა:

ევროპის შემდეგი ჩემპიონატი 2024 წელს გაიმართება გერმანიაში.

ვიყოთ ოპტიმისტები—საქართველოს ნაკრები თავის სიტყვას იტყვის. ფეხბურთი ჩვენს გენშია.

თანდათან, თანდათან, თანდათან აქა-იქ გამოჩნდნენ ბიჭები... მათ გამარჯვებები სწყურიათ, მათ შეუძლიათ ხალხის გახარება...

დაველოდოთ მომავალს, გვჯერა მისი.

☞8

კროსვორდი
ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში



1. საფეხბურთო ასოციაცია ევროპის კავშირი. 2. ერთ-ერთი კონტინენტი. 3. სპორტული თამაში. 4. ქართველი ფეხბურთელი, რომელიც მონაწილეობდა ევროპის პირველ საფეხბურთო ჩემპიონატში. 5. ქართველი ფეხბურთელი, რომელსაც ევროპელებმა „ფეხბურთის კარუზო“ შეარქვეს. 6. სტადიონი, სადაც ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართება. 7. თბილისის „დინამოს“ ცნობილი ფეხბურთელის ვლადიმერ ბარქაიას ზედმეტი სახელი („კლიჩკა“). 8. სპორტული ასპარეზობა, ანუ... 9. სსრკ—არგენტინის მატჩის შემდეგ არგენტინის სპორტულმა გაზეთმა მასზე დაწერა: „ის იყო თავზარდამცემი, როგორც „ვულკანი და ლამაზი, როგორც ტანგო“. დაასახელეთ ეს ქართველი ფეხბურთელი. 10. პელეს ვინ ეცილებოდა „მეფობას“? 11. თერჯოლის ფეხბურთელთა გუნდი, უმაღლესი ლიგის მონაწილე. 12. ფრანგი ფეხბურთელი, რომელმაც ერთ-ერთ მსოფლიო ჩემპიონატზე დღემდე სარეკორდო 14 გოლი გაიტანა მოწინააღმდეგეთა კარებში, დაასახელეთ ეს ფეხბურთელი. 13. უეფას პირველი გენერალური მდივანი. 14. ბრაზილიის უდიდესი საფეხბურთო არენა... 15. ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი. 16. უსიამოვნო შემთხვევა საფეხბურთო მოედანზე. 17. ქართველი მწვრთნელი, რომელიც მრავალი წელია უცხოეთის გუნდებს წვრთნის. 18. ფეხბურთელს უნდა ჰქონდეს ძლიერი დარტყმა, ტექნიკა ფიზიკური გამძლეობა და... 19. „კარლ ცაისთან“ გადამწყვეტი გოლის ავტორი. 20. ფეხბურთს თავისი ხიბლი აქვს, რა მოაქვს მას ხალხისთვის? 21. „ბრძენი“, მრავლის მომსწრე და მნახველი გულშემატკივრები იტყვიან, ხოლმე... 22. ყოფილი დინამოელი, დაუღალავი... 23. მანუელ ფრანცისკო დისანტოს (დაასახელეთ)... 24. ... მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა. 25. ოფსაიდი, ანუ... 26. ქართული ფეხბურთის მშვენება...

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. თერჯოლა. 2. სკანდე. 3. ჩხარი. 4. მღვიმე. 5. საგვარჯილე. 6. ნავენახევი. 7. კლდიაშვილები. 8. ამირანაშვილები. 9. დედაღვთისა. 10. სტალაგნატი. 11. ჩიხორი. 12. ბროლისქედი. 13. კანიონი. 14. მაცხოვარი. 15. რობაქიძე. 16. გიორგი. 17. მღვიმე. 18. ქადაგიძის. 19. უდაბნო. 20. იშხნელები 21. ოქონა. 22. გაბრიჩიძე. 23. ქვ. სიმონეთი

დიდი ფეხბურთი ერთი წლის დაგვიანებით

7 ☜

„ევრო 2020“: ფიქრი, განსჯა, კამათი... იქნებ ნაძლევიც დავდოთ? მატჩების დაწყებამდე ასე თუ მოვკლავთ მხოლოდ დროს!

უპრიანი იქნება ჩვენს მეხსიერებასაც თუ გადავამოწმებთ.

დაასახელეთ გვარ-სახელი და სადაურობა:

იოჰან...
ფერენც...
ალფრედო...
ჟიუსტ...
ფლორიან...
დინო...
უვე...
ბობი...
ფრანცისკო...
რიკარდო...

- მოზამბიკელი ზანგი, რომელიც პორტუგალიის ნაკრებში თამაშობდა.
- საფრანგეთის ერთ-ერთი გამოჩენილი ფეხბურთელი, რომელიც წარმომავლობით პოლონელი იყო.
- ქართველი ფეხბურთელი, რომელიც იტალიის „მილანში“ თამაშობდა.
- ფეხბურთის ერთ-ერთი უცხოელი მიმომხილველი წერდა: ის ფეხბურთის სტადიონზე ისე გრძნობდა თავს, როგორც სოფლის სკოლის დირექტორი საკუთარი სკოლის ეზოში...

დაასახელეთ, რომელ ქართველ ფეხბურთელზეა საუბარი?

(პასუხებს შემოგთავაზებთ შემდეგ ნომერში.

მოგვაწოდეთ თქვენი ვერსიებიც...)

* * *

უნგრეთ-პორტუგალიის მატჩს, როგორც ეს რეპორტაჟის წამყვანმა გვაუწყა—68 ათასი მაყურებელი ესწრებოდა!

„ევრო 2020“-მა კორონას ხელთათმანი ესროლა?!

* * *

ევროპას კორონა ფეხზე ჰკიდია?

—რისკი დიდია!

მასალა მოამზადა ნუგზარ გამყრელიძემ

განცხადება

ქ. თერჯოლის ვეტერანთა საქმეების სახელმწიფოს სამსახურის წარმომადგენელი ანდრო ვაშაკიძე მოგახსენებთ, რომ 2021 წლის ბოლომდე უნდა შეიცვალოს ყველა ომის ვეტერანის ძველი მოწმობა, ძველი მოწმობა 2022 წლიდან ჩაითვლება ძალადაკარგულად.

ახალი მოქმედი მოწმობა იქნება ლურჯი ფერის, შესაცვლელად მოგვაკითხეთ მისამართზე: შაბათ-კვირის გარდა. კოსტავას ქ. №2. გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის შენობაში, I სართულზე. ტელ. 599 48 79 20. მოსვლამდე წინასწარ დარეკეთ.

ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი ა. ვაშაკიძე

ნანა ბეღელაძე

უღვთო იყო შენი სიკვდილი, ნანა!

უმძიმესი ტრაგედია დაატყდა თავს გოდოგნის საჯარო სკოლას, დირექტორის, ნანა ბეღელაძე–ამბროლაძის მოულოდნელი გარდაცვალებით. მწარედ განიცადეს ეს თავზარდამცემი ამბავი სკოლის მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა, მშობლებმა.

ვწუხვართ, რომ წარსულ დროში გვიწევს საუბარი ადამიანზე, რომელიც ყველგან და ყოველთვის სიკეთეს თესავდა, ზრუნავდა სკოლაზე, ოჯახზე, მეგობრებზე, ნაცნობებზე, ყველას ტკივილი გულთან მიჰქონდა, ყველას სიხარული უხაროდა.

„მეგობრის სიკვდილი საკუთარი სულის ნაწილის სიკვდილს ჰგავს“. (გუსტავ ფლობერი). შენი სიკვდილით, ნანა, თითოეული ჩვენგანის სულის ნაწილი წაიღე.

ქალბატონი ნანა 2008 წლიდან სათავეში ედგა გოდოგნის საჯარო სკოლას. ამ პერიოდში მისი ხელმძღვანელობით სკოლამ მრავალ წარმატებას მიაღწია. მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი, ბავშვებზე ზრუნვა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სკოლის კეთილდღეობა და სასწავლო რესურსებით აღჭურვა იყო ნანას უმთავრესი საზრუნავი...

ახლა კი... ისევ გვინდა გავიგონოთ შენი ომახიანი ხმა, დაგვარიგო, გვასწავლო, გვისაყვედურო თუნდაც.

წახვედი და დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი, რომელიც არასდროს განელდება. წახვედი და წაიღე შენი წილი სიხარული, ბედნიერება.

ჩვენ კი, გოდოგნის საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენს ლამაზ სულზე. ალალი იყოს ის მიწა, რომელიც გულზე დაგეფინა.

იძინე მშვიდად, ჩვენო თბილო და ტკბილო მეგობარო!

გოდოგნის საჯარო სკოლის პედკოლექტივი

ეთერ თურქაძე

ცხოვრებაში დგება ხოლმე წუთები, როცა აცნობიერებ, რომ დაკარგე ის, ვინც შენი განუყოფელი ნაწილი იყო, ვისთან ერთადაც თავდაუზოგავი შრომით გიშენებია მომავალი, ეთერ მასწავლებლის სახით ჩვენ დავკარგეთ უძვირფასესი კოლეგა და ღირსეული მასწავლებელი. მას სამუდამოდ ვემშვიდობებით, ძნელია თქვა მშვიდობით, ეს სიტყვა სავსეა ტკივილით, ემშვიდობები მას, ვინც ყოველთვის მზად იყო უშურველად გაეცა ცოდნა, სიყვარული. ალბათ, ძნელია იპოვო მასსავით პროფესიაზე შეყვარებული და მისი ერთგული ადამიანი. არასდროს დაღლილა, ყოველთვის ახალგაზრდების გვერდით იდგა, წავიდა და დატოვა ყველაზე მთავარი მონაპოვარი ადამიანის—სახელი დიდი მასწავლებლისა, დიდი ადამიანისა.

გემშვიდობებით ეთერ მასწავლებელო, ქედს ვიხრით თქვენს მიერ გაწეული ღვაწლისათვის. ჩვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მადლობას გიხდით სამაგალითო მოღვაწეობისთვის. მშვიდობით, ჩვენო დიდო მასწავლებელო.

თერჯოლის N2 საჯარო სკოლის დირექცია

ეს ნამდვილად არ არის სიკვდილი...

იგი ნამდვილად დააკლდა ქალაქს!

სულ რამდენიმე დღის წინ იმიერში გავაცილეთ შესანიშნავი პედაგოგი, დიდებული ადამიანი, ღირსეული პიროვნება-ქალბატონი ეთერ თურქაძე, რომელსაც მთელი რაიონი უზღვავი წრფელი ცრემლითა და გულისტკივილით დაემშვიდობა. ვისაც ოდესმე შეხება ჰქონია მასთან, დაგვერწმუნება, რომ იგი გახლდათ ეტალონი ზნეობისა, ინტელექტუალობისა, სიკეთისა და კეთილშობილებისა.

სიცოცხლის 75 წლიდან 55 წელი ბავშვის აღრდასა და განათლებას მოახმარა. ბოლომდე აქტიურად იყო ჩართული სასწავლო პროცესში, ფეხს უწყობდა განათლების სისტემაში დანერგილ ყველა სიახლეს, ახორციელებდა უამრავ საკლასო პროექტს, გასცემდა, მაგრამ სანაცვლოდ არ ითხოვდა არაფერს ...

თუმცა, რა იკარგება უკვალოდ ბუნებაში? ამიტომ მასაც სიყვარულისა და პატივისცემის სახით უკან დაუბრუნდა ყოველივე. ხშირად ამბობდა, ისეთ სითბოს ვგრძნობ კოლეგებიდან, მშობლებიდან და პატარებიდან, მგონი კიდევ შემიძლია ვემსახურო მათ აღზრდასო. დიახ, შეეძლო, თანაც როგორ კარგად, პროფესიონალურად, მაგრამ უეცარმა სიკვდილმა ყველა გეგმა ჩაშალა. წავიდა ვალმოხდილი... მისია შეასრულა ბოლომდე, თუმცა ამქვეყნად დატოვა ძალიან ბევრი გატეხილი გული და მრავალრიცხოვანი „ჭირისუფალი“.

იყავით მშვიდად თქვენს მყუდრო ძილში დიდებულო ადამიანო!

„მზეკაბანელები“

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლელა ამირანაშვილს მამის

იური თორთლაძის

გარდაცვალების გამო.

ვალერიან გოგიაშვილი და ციცინო პაპიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან შალვას ძე კახიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მანანა და დავით კლდიაშვილები ოჯახით თანაუგრძნობენ მადონა და ავთო ნიკოლაძეებს დედის

ნორა ნიკოლაძის

გარდაცვალების გამო.

გიორგი და გეტუნი ამირანაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან შალვას ძე კახიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზოია დევნოსაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ია წიწილაშვილს მეუღლის

ლევან კახიძის

გარდაცვალების გამო.

ზედა ალისუბნის საბავშვო ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოტე ბეღელაძეს დის

ნანა ბეღელაძის

გარდაცვალების გამო.

ზედა ალისუბნის საბავშვო ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მირანდა დათიაშვილს ბაბუის და ეთერ კორსანტიას ძმისშვილის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ეთერ თურქაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872